საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №60-ში მდებარე "წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი"-ს შენობის ორი ბლოკის დემონტაჟის შესაძლებლობის შესახებ დასაძირკვლების პირობების გათვალისწინებით

ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №60-ში მდებარე "წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი"-ს შენობა ოთხსართულიანია სარდაფით. იგი აშენებლია 1930 წელს და შედგება 4 ნაკვეთურისაგან, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილია ტემპერატურული (ანტისეისმური) ნაკერებით. ოთხი ნაკვეთურიდან იგეგმება ორი მათგანის (ფლიგელის) დემონტაჟი (ჭავჭავაძის გამზირის მხრიდან შუა და მარჯვენა ფლიგელები). სადემონტაჟო ფლიგელების კონსტრუქციული სქემა წარმოდგენილია აგურის მზიდი კედლებით. სართულშუა გადახურვები, სხვენი და სახურავი ხისაა. სანკვანძებში იატაკი რკინაბეტონისაა. ზემოხსენებული ორი ფლიგელი საჭიროებს დემონტაჟს მის ადგილას ახალი შენობის მშენებლობის გამო.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, გაცემულია დადებითი დასკვნა, ზემოთაღნიშნული ფლიგელების დემონტაჟის შესაძლებლობის შესახებ, სადაც აღნიშნულია დამატებით დასაძირკვლების პირობების გამოკვლევის საჭიროების შესახებ.

შ.პ.ს. "ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს გეოლოგიური სამსახურის მიერ ჩატარდა სადემონტაჟო ფლიგელების დასაძირკვლების პირობების კვლევა, საიდანაც დგინდება რომ, აღნიშნული ფლიგელების ქვეშ საძირკვლები ლენტური ტიპისაა ყორე ქვის წყობით, მათი სიგანე 1,3 მ-ია, ისინი ეყრდნობა 20 სმ სისქის ქვიშის კონგლომერანტს ცემენტზე, რომელთა ქვეშაც განლაგებულია ტბიური თიხოვანი გრუნტი.

საძირკვლების სადემონტაჟო სამუშაოები უნდა ჩატარდეს ხელით, პნევმოჩაქუჩისა და ქვის საჭრელი აპარატების გამოყენებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საძირკვლების დემონტაჟს ძირითად შენობასთან სიახლოვეს. ის უნდა განხორციელდეს ისე, რომ არ დაზიანდეს ძირითადი შენობის საძირკვლები. სადემონტაჟო ფლიგელის საძირკვლების ჩაჭრა განხორციელდეს ძირითადი შენობის საძირკვლის მასიდან გამოშვერილი ყორე-ქვის კიდეზე, ისე, რომ არ დაზიანდეს ძირითადი კორპუსის საძირკველი.

დასკვნა

ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №60-ში მდებარე "წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი"-ს შენობის ორი ფლიგელის (ჭავჭავაძის გამზირის მხრიდან შუა და მარჯვენა ფლიგელები) დემონტაჟი შესაძლებელია განხორციელდეს ზემოთაღნიშნული მითითებების გათვალისწინებით. დემონტაჟის სამუშაოების მიმდინარეობის დროს გათვალისწინებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361-ე დადგენილების - "მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი"-ს მოთხოვნები.

შ.პ.ს. "ედრი+"-ის დირექტორი ი. მანწკავა

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე